შეთანხმება N 1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 04/08/18-CON ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

25 სექტემბერი 2018 წ.

ქ.თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“ (ს/კ: 205307960) შემდგომში - „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დავით ტორუას სახით და მეორე მხრივ, შპს “თეგეტა მოტორსი" (ს/კ: 202177205) შემდგომში - „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თეიმურაზ დარისპანაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეიცვალოს მხარეებს შორის 2018 წლის 3 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 04/08/18-CON ხელშეკრულების 4.1. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მიმწოდებელი აწვდის „შემსყიდველს“ საქონელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.
2. შეიცვალოს მხარეებს შორის 2018 წლის 3 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 04/08/18-CON ხელშეკრულების 10.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის 2018 წლის 25 სექტემბრიდან, წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N04/08/18- CON ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
4. მხარეთა შორის 2018 წლის 3 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N04/08/18 - CON ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი დარჩეს უცვლელი.
5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგანაც ორი ეგზემპლარი რჩება „შემსყიდველს“ ხოლო ერთი „მიმწოდებელს“.
6. მხარეები აცხადებენ, რომ ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

**„შემსყიდველი“**
**სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“**
ს/კ: 205307960
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. #144

დავით ტორუა

**„მიმწოდებელი“**
**შპს “თეგეტა მოტორსი“**
ს/კ: 202177205
იურიდიული მისამართი: საქართველო,თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ N5

თეიმურაზ დარისპანაშვილი